

02 | გარემოსდაცვითი სამართლის პრინციპები

სასამართლო
პრაქტიკა



სასწავლო
კურსი

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება
და გარემოსდაცვით მართლმსაჯულებაზე
ხელმისაწვდომობა

Trail Smelter Case - USA v. Canada (1941)

→
საერთაშორისო საარბიტრაჟო
სასამართლო

ფაქტები

Trail Smelter ბრიტანულ კოლუმბიაში, კანადაში მოქმედი გადამდნობი ქარხანა იყო.

მისი ოპერირების შედეგად გაფრქვეულმა გოგირდის დიოქსიდმა დააზიანა ვაშინგტონის შტატი აშშ-ში. კერძოდ, დაბინძურებულმა ჰაერმა უარყოფითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობისა და სატყეო სექტორებზე.

აშშ-მ კანადის წინააღმდეგ საარბიტრაჟო პროცესი წამოიწყო და ჰაერის შემდგომი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ამკრძალავი განკარგულების გამოცემა მოითხოვა.

სადავო საკითხი

აშშ დავობდა, რომ კანადამ თავიდან ვერ აირიდა თავისი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედი კომპანიის მავნე ზემოქმედება გარემოზე, რის შედეგადაც ზიანი მიაღდა აშშ-ს.

გამოყენებული პრინციპები

სასამართლომ გამოიყენა პრევენციის - სხვა ქვეყნისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისა და დამბინძურებელი იხდის პრინციპები.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას სხვა სახელმწიფოები მისი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედი პირების საქმიანობის მავნე ზემოქმედებისგან (ტრანსსასაზღვრო ზიანი).

სახელმწიფოს უფლება არ აქვს გამოიყენოს საკუთარი ტერიტორია ან გასცეს მისი გამოყენების ნებართვა, თუ ეს საქმიანობა დააზიანებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიას, ქონებას ან მის ტერიტორიაზე მყოფ პირებს.

სამართლებრივი შედეგი

კანადას აშშ-ს სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დაეკისრა.

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფო სუვერენიტეტზე მითითება ვერ იქნება სხვა ქვეყნისთვის ტრანსსასაზღვრო დაბინძურებით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდების საფუძველი. პრევენციის პრინციპი ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეაფასონ საქმიანობის პოტენციური გავლენა სხვა სახელმწიფოზე და არ მიაყენონ მას არსებითი ზიანი.

Lake Lanoux Case - France v. Spain (1957)



საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო

ფაქტები

ლანუს ტბა საფრანგეთში მდებარეობს. ტბიდან გამოედინება ნაკადი, რომელიც მდინარე კეროლის ერთ-ერთ სათავეს ქმნის. მდინარე საფრანგეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 25 კილომეტრის მანძილზე მიედინება, შემდეგ კი ესპანეთის საზღვარს კვეთს.

საფრანგეთის მთავრობას სურდა, რომ ტბის წყალი სხვა მდინარისკენაც მიემართა იმგვარად, რომ ესპანეთის რეალური საჭიროებების დაკმაყოფილება მდინარე კეროლის მეშვეობით კვლავაც შეძლებოდა. ამისთვის, ესპანეთს გარკვეული სამუშაოების ჩატარება შესთავაზა, რასაც ეს უკანასკნელი არ დასთანხმდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ სამუშაოები უარყოფითად იმოქმედებდა მის ინტერესებზე. ესპანეთი მიიჩნევდა, რომ საფრანგეთი მათ შორის 1866 წელს დადებულ ხელშეკრულებას არღვევდა და ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების განხორციელებისთვის ორივე მხარის წინასწარი თანხმობა იყო საჭირო.

სადავო საკითხი

ესპანეთი დავობდა, რომ მასსა და საფრანგეთს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, საფრანგეთს არ ჰქონდა ესპანეთის თანხმობის გარეშე ტბის ამგვარად გამოყენების უფლება და მას უნდა გაეთვალისწინებინა ესპანეთის საჭიროებები და ინტერესები.

გამოყენებული პრინციპები

სასამართლომ გაითვალისწინა სხვა სახელმწიფოსთვის არსებითი ზიანის მიყენების თავიდან აცილების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვა ქვეყნის ინტერესების ინტეგრაციისა და ბუნებრივ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მათ განაწილებაში სამართლიანი მონაწილეობის პრინციპები.

სასამართლოს გადაწყვეტილება

საარბიტრაჟო სასამართლომ ხელშეკრულებისა და საქმის გარემოებების შესწავლის

სამართლებრივი შედეგი

სასამართლომ გადაწყვეტილება საფრანგეთის სასარგებლოდ მიიღო და დაადგინა, რომ მას არ

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

გადაწყვეტილებით განმტკიცდა, რომ სახელმწიფოებს მათ სუვერენულ ტერიტორიაზე

შედეგად დაადგინა, რომ საფრანგეთს არ დაურღვევია ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ლანუს ტბასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში ესპანეთის სახელმწიფო ორგანოებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩართულნი და მათი ინტერესებიც გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო; აღნიშნული პირობები საფრანგეთს დაკმაყოფილებული ჰქონდა.

დაურღვევია საერთაშორისო სამართლის წესები.

არსებული რესურსების გამოყენების უფლება აქვთ, თუმცა, გადაწყვეტილების მიღების დროს მათ უნდა გაითვალისწინონ სხვა ქვეყნების ინტერესები, თუ საქმე საერთო რესურსებს შეეხება და ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

Pulp Mills Case - Argentina v. Uruguay (2010)



მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო

ფაქტები

არგენტინასა და ურუგვაის შორის დავა მდინარე ურუგვაიზე მერქნის ორი ქარხნის მშენებლობას უკავშირდებოდა.

მათ შორის დადებული იყო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მდინარეზე საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო იყო მეორე მხარის წინასწარი შეტყობინება და მასთან კონსულტაცია.

ურუგვაიმ ქარხნის მშენებლობა ამ პროცედურების დაცვის გარეშე დაიწყო.

სადავო საკითხი

არგენტინა დავობდა, რომ ურუგვაიმ დაარღვია მათ შორის შეთანხმებული პროცედურა და აღნიშნული ქარხნები საფრთხეს უქმნიდნენ მდინარეს, რადგან მშენებლობას შესაძლოა დაეზიანებინა წყლის ხარისხი და გარემო.

გამოყენებული პრინციპები

სასამართლომ გამოიყენა პრევენციისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრინციპები.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ განმარტა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა

სამართლებრივი შედეგი

დადგინდა პროცედურული ხასიათის დარღვევა; ურუგვაის არ დაკისრებია ზიანის

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

გადაწყვეტილებით განმტკიცდა, რომ საერთო რესურსებთან დაკავშირებით აუცილებელია

სავალდებულოა, როდესაც დაგეგმილმა საქმიანობამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ტრანსსასაზღვრო გავლენა იქონიოს სხვა სახელმწიფოზე, კერძოდ, საერთო რესურსებზე. აღნიშნული მიდგომა შესაბამისობაშია პრევენციის პრინციპთან. თუმცა, ვინაიდან საქმის გარემოებებიდან არ იკვეთებოდა, რომ ქარხნები მართლაც გამოიწვევდა ზიანს, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ნაწილში ურუგვას არ დაურღვევია გარემოსდაცვითი სტანდარტები. დარღვევა დადგინდა მხოლოდ იმ პროცედურულ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, საჭირო იყო არგენტინის წინასწარი ინფორმირება და მასთან კონსულტაციები. შესაბამისად, დაირღვა ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრინციპი.

ანაზღაურების ვალდებულება, ვინაიდან ზიანი არ დამდგარა.

სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა, ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა.

პრევენციის პრინციპიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კონკრეტული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მნიშვნელობას, რათა თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი ზიანი.

United Kingdom v. Commission - C-180/96 (1998)



ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო

ფაქტები

მას შემდეგ, რაც დიდ ბრიტანეთში იფეთქა ე.წ. „შეშლილი ძროხის“ დაავადებამ, ევროკომისიამ დიდი ბრიტანეთიდან აკრძალა საქონლის ხორცის ექსპორტი. აკრძალვის მიზანი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა იყო.

სადავო საკითხი

დიდი ბრიტანეთი დავობდა, რომ ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არაპროპორციული იყო, ეკონომიკურ ზიანს აყენებდა დიდ ბრიტანეთს და უნდა გაუქმებულიყო.

გამოყენებული პრინციპები

სასამართლომ გამოიყენა სიფრთხილის წინასწარი ზომების მიღების პრინციპი.

სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზანს პრიორიტეტი მიანიჭა

სამართლებრივი შედეგი


სასამართლომ დაადგინა, რომ ევროკომისიის მიერ მიღებული ზომა პროპორციული და

გადაწყვეტილების მნიშვნელობა

გადაწყვეტილებით განმტკიცდა სიფრთხილის წინასწარი ზომების მიღების პრინციპი.

ეკონომიკურ სარგებელთან მიმართებით და განმარტა, რომ თუ პოტენციურად არსებობს, მაგრამ მეცნიერულად უტყუარად დადასტურებული არ არის ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების ან მასზე ხანგრძლივი გავლენის მოხდენის საფრთხე, კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, დამცავი ზომები საფრთხის უფრო სერიოზული და თვალსაჩინო ფორმით გამოვლენამდეც მიიღონ.

გამართლებული იყო. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა დიდი ბრიტანეთის მოთხოვნა.



პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)
და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით.
მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა,
არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

